

## ვასილ ყუშიტაშვილი პირადი საარქივო ფონდი

ვასილ ყუშიტაშვილი დაიბადა 1894 წლის 25 აპრილს (ძვ. სტილით) თბილისში, ვაჭრის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1913 წელს. შემდეგ სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. პარალელურად დაიწყო სწავლა ვ. კომისარჟევსკაიას სახელობის დრამატულ სტუდიაში, მაგრამ არ დაუმთავრებია, რადგან 1916 წელს პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებით გაიწვიეს მობილიზაციის წერსითსამხედრო სამსახურში და გაამწესეს სწავლის მისაღებად ქ. ოდესის ექვს თვიან სამხედრო სასწავლებელში. ეს სასწავლებელი დაამთავრა პრაპორშჩიკის ჩინით და მსახურობდა ოფიცრად ტაშკენტში, პეტროგრადში და სხვა. 1917 წელს ჩამოვიდა თბილისში და 1918 წელს მიიწვიეს რეჟისორად თეატრში სადაც დადგა სოფოკლეს ტრაგედია "ანტიგნე". 1919 წელს პარალელურად მუშაობდა გ. ჯაბადარის სტუდიაში და რუსულ დრამატულ სტუდიაში მასწავლებლად. ასწავლიდა მსახიობის ტექნიკას. 1919 წელს გაემგზავრა საზღვარგარეთ სათეატრო საქმის შესწავლის მიზნით. განზრახული ჰქონდა დარჩენილყო რამდენიმე თვე, მაგრამ დარჩა 1933 წლამდე. ცხოვრობდა ჯერ საფრანგეთში - პარიზში და შემდეგ ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში - ნიუიორკში. მუშაობდა რეჟისორად სხვადასხვა თეატრებში. 1919 -1928 წწ. პარიზის თეატრებში "ოდეონში", "ატელიეში", "ელისეს" მინდვრების თეატრში. ამავე დროს მუშაობდა პედაგოგად თეატრ "ატელიესთან" არსებულ სტუდიაში. 1929 წელს გადასახლდა ამერიკაში ქ. ნიუ - იორკში და მუშაობდა რეჟისორად: „კომიკურ ოპერაში“ ლაბორატორიულ თეატრში, შემდეგ ქ. ნიუ - ორლეანის თეატრში „ვიო - კარრე“ და სხვა. ამერიკაშიც ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას სადაც მსახიობის ტექნიკას ასწავლიდა.

1933 წელს დაბრუნდა სამშობლოში და დაინიშნა სამხატვრო ხელმძღვანელად ქუთაისის თეატრში სადაც ერთი სეზონი დაჰყო. 1934 – 1948 წლებში მუშაობდა ვ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის დამდგმელ რეჟისორად. პარალელურად მუშაობდა პედაგოგად ამავე თეატრთან არსებულ და სხვა სტუდიაში. ასევე მუშაობდა მტავარ რეჟისორად გორის გ. ერისთავის სახ. თეატრში 1952 წლამდე. შემდეგ გადაიყვანეს ამავე თანამდებობაზე ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში სადაც 1955 წლამდე მუშაობა. მოგვიანებით ისევ დაინიშნა თბილისის ვ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში რეჟისორად.

განხორციელებული აქვს დადგმები თბილისის ოპერისა და ბალიტის სახელმწიფო თეატრში, ბათუმის თეატრში და სხა.

ქართულ თეატრში 45 –ზე მეტი სხვადასხვა ჟანრის პიესა დადგა. მათ შორის: „ნაპერწკლიდან“ (შ. დადიანი), „სიჭაბუკე ბელადისა“ (გ. ნახუცრიშვილი), „პარტიზანები“ (გ. მდივანი), „გიორგი სააკაძე“ (უ. ჩხეიძე), „19177 წლი“ (მ. ჭიაურელი, ლ. ასათიანი), „მათი ამბავი“ (ვ. გაბესკირია), „ჩატეხილი ხიდი“ (ინსცენირება შ. დადიანის), „მასკარადი“ (მ. ლერმონტოვი), „მწვანე ქუჩა“ (ა. სუროვის), „ფიგაროს ქორწინება“ (ბომარშე), „ძალად ექიმი“ (მილერი) და სხვა.

1941 წელს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

დაჯილდოებულია მედლით „მამაცური შრომისთვის დიდ სამამულო ომში 1941 – 1945 წწ.“ – 1946 წელს და „წითელი დროშის“ ორდენით 1950 წელს.

გარდაიცვალა 1962 წლის 15 იანვარს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

## ვასილ ყუშიტაშვილის პირადი საარქივო ფონდი

### ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ვასილ ყუშიტაშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.  
1937 წ. 25 დეკემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.
2. ვასილ ყუშიტაშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.  
1939 წ. 10 თებერვალი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.
3. ვასილ ყუშიტაშვილის ავტობიოგრაფია.  
1939 წ. 20 მარტი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. მელანი. 2 გვ.
4. ვასილ ყუშიტაშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.  
1939 წ. 8 მაისი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.
5. ვასილ ყუშიტაშვილის ავტობიოგრაფია.  
1939 წ. 8 მაისი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.
6. ვასილ ყუშიტაშვილის ავტობიოგრაფია.  
1949 წ. 8 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
7. ვასილ ყუშიტაშვილის პირადი ბარათი.  
1951 წ. 8 მაისი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 1 გვ.
8. ვასილ ყუშიტაშვილის დაბადების მოწმობა.  
1951 წ. 19 ივლისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.
9. საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ბრძანება  
ვასილ ყუშიტაშვილის გორის თეატრიდან ქუთაისის თეატრის მთავარ რეჟისორად  
გადაყვანის შესახებ.  
1952 წ. 9 სექტემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.
10. საქ. კულტურის სამინისტროს ბრძანება, კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრში  
ვასილ ყუშიტაშვილის მთავარ რეჟისორად დანიშვნის შესახებ.  
1954 წ. 13 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. (ასლი). 2 გვ.

11. ლ. მესხიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის მიერ გაცემული საკვალიფიკაციო ფურცელი ვასილ ყუშიტაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.  
1954 წ. თბილისი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.
12. ვასილ ყუშიტაშვილის ცნობა შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.  
1955 წ. 22 აპრილი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
13. კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის დირექტორ – აკ. დვალიშვილის შუამდგომლობა, საქ. კულტურის მინისტრ – დ. ჩხიკვიშვილისადმი, ვასილ ყუშიტაშვილის დაბადებიდან 65 წლის იუბილეს აღნიშვნასთან დაკავშირებით.  
1959 წ. 9 სექტემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის დირექტორი – აკ. დვალიშვილი. 1 გვ.
14. საქ. სსრ კულტურის სამინისტროს ბრძანება, ვასილ ყუშიტაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილეს მოწყობასთან დაკავშირებით. (მასალას ერთვის კომისიის შემადგენლობის სია).  
1959 წ. 19 ნოემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.
15. საქ. კულტურის სამინისტროს კოლეგიის დადგენილება, ვასილ ყუშიტაშვილის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს გამართვასთან დაკავშირებით.  
(მასალას ერთვის საიუბილეო კომისიის შემადგენლობის სია).  
1964 წ. 15 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. 3 გვ.
16. ვასილ ყუშიტაშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.  
10 მარტი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.
17. თეატრალური განყოფილების უფროსის – ივ. გვინჩიძის შუამდგომლობა საქ. კულტურის მინისტრ – დ. ჩხიკვიშვილისადმი, ვასილ ყუშიტაშვილის დაბადებიდან 65 წლის იუბილეს აღნიშვნასთან დაკავშირებით.  
[1959 წ.] ნაბეჭდი. 1 გვ.
18. ვასილ ყუშიტაშვილის დაბადებიდან 70 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო კომისიის სხდომის ოქმი.  
უთარილო. ბაბეჭდი. 1 გვ.
19. ვასილ ყუშიტაშვილის ავტობიოგრაფია.  
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.
20. ვასილ ყუშიტაშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.  
უთარილო. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.

21. ვასილ ყუშიტაშვილის ცნობა შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.  
უთარილო. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
22. ვასილ ყუშიტაშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.  
უთარილო. ბლანკი. ნაბეჭდი. 4 გვ.
23. ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის მიერ გაცემული დახასიათება, ვასილ ყუშიტაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.  
უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერს: თეატრის დირექტორი – მ. მეფარიშვილი. 1 გვ.

### **პროგრამა**

24. ვასილ ყუშიტაშვილის საიუბილეო სადამოს პროგრამა.  
1959 წ. 22 დეკემბერი. თბილისი. დასტამბული. 1 ც.

### **მოსაწვევი ბარათი**

25. კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრში გამართული ვასილ ყუშიტაშვილის დაბადებიდან 65 წლისა და სასცემო მოღვაწეობის 40 წლის საიუბილეო სადამოს მოსაწვევი ბარათი.  
1959 წ. 22 დეკემბერი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.